საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-02/169

ქ. ბათუმი 30 ოქტომბერი, 2019 წ

2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ს უმაღლესი აკადემიური განათლების პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის საფაკულტეტო სახელობითი სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 18 ოქტომბრის №01-02/163 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლისა და „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე სახელობითი სტიპენდიების შემოღებისა და აუდიტორიებისათვის გამოჩენილ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა სახელების მინიჭების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 26 სექტემბრის N124 დადგენილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 25 ოქტომბრის №06-01/121 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ს უმაღლესი აკადემიური განათლების პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის საფაკულტეტო სახელობითი სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 18 ოქტომბრის №01-02/163 ბრძანების დანართ 1-ში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი1).
2. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად ჩაბარდეს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და განთავსდეს საინფორმაციო დაფებსა და ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში ,,კონკურსები", ,,ფაკულტეტის სიახლეები").
3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. #30).

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მ. ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 30 ოქტომბრის N 01-02/169 ბრძანების დანართი N1

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფაკულტეტო სტიპენდიები, რომლებზეც ცხადდება კონკურსი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის:

1. პროფ. როლანდ კომახიძის სახელობის;
2. პროფ.აბელ სურგულაძის სახელობის.
3. პროფ. დავით ხახუტაიშვილის სახელობის;
4. სელიმ ხიმშიაშვილის სახელობის.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი

უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის:

1. აკად. მემედ კომახიძის სახელობის;
2. დოც. ვლადიმერ ქემხაძის სახელობის;
3. დოც. ოთარ ახვლედიანის სახელობის.

ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის:

1. აკად. დურსუნ ბალაძის სახელობის;
2. ხუსეინ ხალვაშის სახელობის;
3. სილოვან დადუნაშვილის სახელობის;
4. გულო აღა კაიკაციშვილის სახელობის.

იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სტუდენტებისთვის

1. პროფ. სერგო ჯორბენაძის სახელობის;
2. ტბელ აბუსელიძის სახელობის.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სტუდენტებისთვის

1. პროფ. ვალერიან მელქაძის სახელობის;
2. პროფესორ გივი გამსახურდიას სახელობის.

უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სტუდენტებისთვის

1. პროფ. ვახტანგ პაპუნიძის სახელობის.

ტექნოლოგიური ფაკულტეტი

უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის:

1. გიორგი ნიკოლაძის სახელობის;
2. აკად. ლევან ყანჩაველის სახელობის.

ტურიზმის ფაკულტეტი

უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სტუდენტებისთვის

1. ვახუშტი ბატონიშვილის სახელობის.

უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სტუდენტებისთვის

1. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის.